



სსიპ შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი

16/03/2026



MES 2 26 0000314722

## ბრძანება

თბილისი

„კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N172/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N312664, 16.03.2026) შესაბამისად,

### ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2026 წლის საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის თანხმობის წერილის ფორმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;

13. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;

14. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი 13-ის შესაბამისად;

15. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N14-ის შესაბამისად;

16. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N15-ის შესაბამისად;

17. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N16-ის შესაბამისად;

18. დამტკიცდეს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N17-ის შესაბამისად;

19. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N18-ის შესაბამისად;

20. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტები - შორენა დარჩიაშვილი და ნათელა პაპავა. კონსულტანტები ფინანსურ საკითხებში - ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტები მადინა გაურგაშვილი და თეონა ზაქაშვილი.

21. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

22. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

23. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
გენერალური დირექტორი  
დოკვირი თეიმურაზ

თ. დოჭვიანი



**2026 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და  
საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია

**ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში:**

ა.ა) საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მეცნიერთა თანამონაწილეობით ერთობლივი კვლევების წახალისებას;

ა.ბ) კავკასიის რეგიონის პრობლემატიკის სამეცნიერო შესწავლას;

ა.გ) კავკასიის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას (დისემინაციას);

ა.დ) კავკასიის რეგიონში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას; ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში.

**ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის შემთხვევაში:**

ბ.ა) კავკასიის შემსწავლელი მეცნიერებების მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სეზონური სკოლების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და კომბინირებული ღონისძიებების ჩატარებას ფართო საზოგადოების ჩართულობით, კავკასიის შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას;

ბ.ბ) სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას;

ბ.გ) ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას;

ბ.დ) საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას;

ბ.ე) კავკასიის შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას;

ბ.ვ) სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდას.

2. კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ორ ლოტში:

ა) პირველი ლოტი – კავკასიის რეგიონის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევითი პროექტები;

ბ) მეორე ლოტი – საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება:

- სეზონური სკოლები
- კონფერენციები
- კონგრესები
- ფორუმები
- სიმპოზიუმები

გ) ამ მუხლის მეორე პუნქტის “ბ)” ქვეპუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო ღონისძიებებიდან კონკურსში შესაძლებელია წარმოდგენილი

იყოს კომბინირებული ღონისძიება, რომელიც გულისხმობს კონფერენციისა და სეზონური სკოლის ერთად ორგანიზებას.

3. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

- ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;
- გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
- დ) აგრარული მეცნიერებები;
- ე) სოციალური მეცნიერებები;
- ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ზ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

4. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

## **მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები**

1. პროექტს უნდა ჰყავდეს:

ა) **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელსა და სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

ბ) **თანამონაწილე ორგანიზაცია** (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს და პროექტის სხვა ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს; თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში;

გ) **ძირითადი პერსონალი** – დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი, დოქტორი, მაგისტრი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი/პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს; ძირითადი პერსონალი შედგება პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში), კოორდინატორისა და სხვა პირებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პროექტის ძირითადი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე.

დ) **პროექტის ხელმძღვანელი** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განხორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას და

პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

ე) **პროექტის თანახელმძღვანელი** (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) – საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელია და კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებასა და განხორციელებას პროექტის ხელმძღვანელთან ერთად;

ვ) **პროექტის კოორდინატორი** – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე და არის საკონტაქტო პირი ფონდთან;

ზ) **დამხმარე პერსონალი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – ფიზიკური პირი, რომელიც ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში; დაუშვებელია ერთი და იგივე პირი იყო ძირითადი და დამხმარე პერსონალი.

2. სამეცნიერო კვლევითი პროექტის განსახორციელებლად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებით სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა).

3. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

4. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადამფინანსებელი – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილს.

### **მუხლი 3. პირველი ლოტი - კავკასიის რეგიონის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში ძირითადი მოთხოვნები და დოკუმენტაცია**

1. ძირითადი მოთხოვნები:

ა) პროექტში აუცილებელია ჩართული იყოს არანაკლებ ერთი **ახალგაზრდა მეცნიერი** – მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი.

ბ) პროექტში აუცილებელია ჩართული იყოს უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერი, არანაკლებ 1/4-სა;

გ) საკონკურსოდ წარდგენილი სამეცნიერო კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 თვე.

დ) პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება სამეცნიერო კვლევითი პროექტის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს;

ე) პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- 1) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- 2) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- 3) მივლინება;
- 4) საქონელი და მომსახურება;
- 5) არაფინანსური აქტივები;
- 6) ზედნადები ხარჯები.

ვ) პროექტის ბიუჯეტი მოიცავს ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებას.

ზ) ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით.

თ) პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადამფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომლითაც ფინანსდება პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილი.

ი) ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

კ) გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობანაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

ლ) გრანტის სახსრებით შექმნილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მ) ამ მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით.

ნ) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.

ო) ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის. გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში.

## 2. საკონკურსო დოკუმენტაცია:

ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

1. კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
2. საპროექტო წინადადება ქართულ ენაზე, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);
3. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ივსება GMUS-ში);
4. პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება, ივსება GMUS-ში);
5. ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.
6. იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
7. ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
8. პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის და ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფია - განმცხადებელი ინდივიდუალურად რეგისტრირდება GMUS-ში. მის მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
9. პროექტში ჩართული უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტი, რითაც დასტურდება რომ არის კავკასიის ტერიტორიაზე

მცხოვრები, დოკუმენტს თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ; პროფესიული ბიოგრაფია CV (მის მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV და იტვირთება ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით) და ქართულ ენაზე ნებისმიერი ფორმატით იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ;

10. პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2026 წელს გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო.
11. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამონაწილეობის თანხმობის წერილი. თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს უცხოურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).
12. თანხმობის წერილი სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - გარდა წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
13. პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის რეგისტრაციისათვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტის/მაგისტრანტის/რეზიდენტის შემთხვევაში შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ 2026 წლის მდგომარეობით); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მისი აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში, შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ „განათლების“ გრაფაში PDF დოკუმენტის სახით;

ბ) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინონ: პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი

თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

გ) საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

დ) პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

#### მუხლი 4. მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებისთვის დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში ძირითადი მოთხოვნები და დოკუმენტაცია

##### 1. ძირითადი მოთხოვნები

ა) პროექტში აუცილებელია ჩართული იყოს უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერი, პროექტში ჩართული მეცნიერების არანაკლებ 1/3-სა.

ბ) საკონკურსოდ წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროექტი უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლისა.

გ) პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება:

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება	ფონდიდან მოთხოვნილი თანხის მაქსიმალური ოდენობა
სეზონური სკოლა	30 000 ლარი
კონფერენცია / ფორუმი / კონგრესი / სიმპოზიუმი	40 000 ლარი
კომბინირებული ღონისძიება (კონფერენცია და სეზონური სკოლა ერთად)	70 000 ლარი

დ) პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) საქონელი და მომსახურება;

დ) ზედნადები ხარჯები.

ე) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 35%-ს.

ვ) ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის. გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში.

ზ) ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორიები დეტალურად განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით.

თ) დაუშვებელია „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურების გაცემა.

ი) კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება პროექტის ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილ თანხის ოდენობას გამოკლებული ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 1/4).

საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენისა და ფონდის მიერ ანგარიშების განხილვის აქტის შედგენის საფუძველზე.

## 2. საკონკურსო დოკუმენტაცია:

ა) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

1. **კრებსითი ინფორმაცია** პროექტის შესახებ (ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
2. **საპროექტო წინადადება** ქართულ ენაზე (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);
3. **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (ივსება GMUS-ში);
4. **პროექტის ბიუჯეტი** (ივსება GMUS-ში);
5. **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.
6. იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
7. ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
8. პროექტში ჩართული უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტი, რითაც დასტურდება რომ არის კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები, დოკუმენტს თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ; პროფესიული ბიოგრაფია CV ინგლისურ ენაზე (მის მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV და იტვირთება ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით) და ქართულ ენაზე ნებისმიერი ფორმატით იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ;
9. პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის და ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფია - განმცხადებელი ინდივიდუალურად რეგისტრირდება GMUS-ში. მის მიერ შექმნილი პროფილიდან გენერირდება CV და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
10. პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა **2026** წელს გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

11. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანამონაწილეობის თანხმობის წერილი. თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს უცხოურ ენაზე ორგანიზაციის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე, დადასტურებული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით).

12. პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის რეგისტრაციისათვის საჭიროა ბიოგრაფიული მონაცემების შევსება და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ატვირთვა GMUS-ში (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტი/მაგისტრანტი/რეზიდენტი შემთხვევაში შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, 2026 წლის მდგომარეობით); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. ძირითადი პერსონალი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მისი აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში, შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ „განათლების“ გრაფაში PDF დოკუმენტის სახით;

13. ღონისძიების მონაწილე ძირითადი და პლენარული მომხსენებლების/ლექტორების პროფესიული ბიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, თანხმობის წერილი და ვებ-გვერდის ლინკი, საიდანაც დასტურდება მისი აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ.

ბ) საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინონ: პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

გ) საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

დ) პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

## მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – **2026 წლის 20 მარტი - 17 აპრილი 18:00 საათამდე;**

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – **2026 წლის 24 აპრილი 18:00 საათამდე.**

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი ორგანიზაციის რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. პროფილიდან გენერირდება CV და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით საპროექტო წინადადებასთან ერთად.

გ) პროექტის რეგისტრაცია კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსზე: პირველი ლოტი - კავკასიის რეგიონის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში (იხ. კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი) და მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზების შემთხვევაში (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი) კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა.

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების დადგენილი წესის შესაბამისად.
4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

## **მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება**

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - **2026 წლის 16 მარტი**;

ბ) პროექტების ფონდში წარდგენა;

- პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია - **2026 წლის 20 მარტი - 17 აპრილი 18:00 საათამდე**;
- ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა - **2026 წლის 24 აპრილი 18:00 საათამდე**;

გ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - **ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ვებგვერდზე**;

დ) პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზა - **აპრილი-მაისი**;

ე) პროექტების შეფასება - **მაისი-ივნისი**;

ვ) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამარჯვებული პროექტების დამტკიცება - **მაისი-ივნისი**;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება - **ივნისი**.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

## **მუხლი 7. პროექტების შეფასება**

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში არსებული რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა კომისიას.

2. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კომისიას და ადგენს მისი მუშაობის წესს.

3. კომისია კავკასიის რეგიონის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევით პროექტებს აფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანების მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი წესებით და მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“ და ადგენს რანჟირებულ სიას;

4. კომისია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზების პროექტებს აფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №176/ნ ბრძანების მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი წესებითა და მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული „საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“ და ადგენს ორ რანჟირებულ სიას: 1) კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, ფორუმებისა და კომბინირებული ღონისძიებებისათვის და 2) სეზონური სკოლებისათვის.

### **მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება**

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას გრანტის მიმღებს, თანადაფინანსებელ ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფონდს შორის, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების დაცვით.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სამეცნიერო კვლევითი პროექტის საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ერთჯერადად პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

5. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

6. სამეცნიერო კვლევითი პროექტებისთვის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული მომართვის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 6 თვით გაგრძელების შესახებ, დამატებითი დაფინანსების გარეშე.

### **მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი**

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანების მე-11 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგულაციით.

2. პროექტის ბიუჯეტის დასაბუთებაში მითითებული ჩანაწერებისაგან განსხვავებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი

დასაბუთება გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადაგენად და მიღებული განმარტებით იხელმძღვანელოს ხარჯის მიზნობრიობის განხილვისას.

3. ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები;

4. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

### **მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №172/ნ ბრძანების მე-12 მუხლით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

### **მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ**

1. პირველი ლოტი - კავკასიის რეგიონის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევითი პროექტების შემთხვევაში:

ა) გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნოს პუბლიკაცია. მონოგრაფიის შემთხვევაში ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხოლო სამეცნიერო სტატიის შემთხვევაში სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

ბ) პროექტის განხორციელების შედეგების ამსახველი სტატია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნებული უნდა იყოს იმ ჟურნალებში, წიგნებსა და კრებულებში, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus, ასევე ჟურნალში - The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science ან წარმოადგინონ ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

გ) პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/ საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

დ) საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

ე) გრანტის მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს გრანტის სახსრებით გამოცემული თითოეული ნაბეჭდი ერთეულისთვის საერთაშორისო სტანდარტული ნორმების (ISBN, ISSN) მინიჭება, გამოცემული ნაბეჭდი ერთეულების 1/3-ის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებში გავრცელება და გრანტის გამცემისთვის 2-2 ეგზემპლარის გადაცემა.

2. მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზების შემთხვევაში:

ა) გრანტის მიმღები ვალდებულია წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის სახელით შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს (ვებგვერდის შექმნა და ადმინისტრირება არ ფინანსდება ფონდის მიერ), ვებ-გვერდზე განათავსოს ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია - ღონისძიების ჩატარების ანონსი (ღონისძიების ჩატარების თარიღი, რეგისტრაციის ვადები და ა.შ) და ღონისძიების ჩატარების ამსახველი მასალები.

ბ) პროექტის დასრულების შემდგომ, სავალდებულოა სამეცნიერო ღონისძიების ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტებისა ან/და მოხსენებების კრებული ქართულ და ინგლისურ ენაზე.

გ) ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, ლექციას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას და ა.შ.

3. პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონული პროდუქცია) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ „პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „The project was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“.

4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)  
პროექტის რეგისტრაციის დროს

**კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ**  
სამეცნიერო კვლევითი პროექტებისათვის

**I გვერდი**  
**ზოგადი ინფორმაცია**

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
2	პროექტის ხანგრძლივობა: • დაწყების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი): • დასრულების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი):	
3	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
4	თანადაფინანსების თანხა (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
5	სულ (ლარი)	
6	პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	პროექტის კოორდინატორი (სახელი, გვარი)	
10	ელ.ფოსტა	
11	ტელეფონი	
12	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა

13	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა)	
----	---	--

14	ინფორმაცია არასასურველი ექსპერტების შესახებ	
N	სახელი, გვარი	ინსტიტუცია
1		
2		
3		

**II გვერდი**  
**ორგანიზაცია**

ინფორმაცია წამყვანი ორგანიზაციის შესახებ		
1	წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
2	წამყვანი ორგანიზაცია	
3	კვლევითი ინსტიტუცია	
4	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი	

5	თანამდებობა	
6	წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	მისამართი	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს- უსდ)	

ინფორმაცია თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
11	თანამონაწილე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
12	თანამონაწილე ორგანიზაციის დასახელება	
13	კვლევითი ინსტიტუცია	
14	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
15	თანამდებობა	
16	თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი	
17	ელ.ფოსტა	
18	ტელეფონი	
19	მისამართი	
20	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს- უსდ)	

უცხოეთში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
21	ორგანიზაციის სახელწოდება	
22	თანხმობის წერილი (GEO)	PDF ფაილის ატვირთვა
23	თანხმობის წერილი (ENG)	PDF ფაილის ატვირთვა

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
24	თანადამფინანსებელი იურიდიული პირი	
25	მისამართი	
26	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
27	ცნობა თანადამფინანსების შესახებ (GEO)	PDF ფაილის ატვირთვა
28	ცნობა თანადამფინანსების შესახებ (ENG)	PDF ფაილის ატვირთვა
29	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
30	ელ. ფოსტა	
31	ტელეფონი	
32	ცნობა თანადამფინანსების შესახებ (GEO)	PDF ფაილის ატვირთვა
33	ცნობა თანადამფინანსების შესახებ (ENG)	PDF ფაილის ატვირთვა

ინფორმაცია სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
